პროგნოზი არ გამართლდა

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 15 სექტემბერი.

ცსკა - “დინამო” (თბილისი) 3:0 (2:0).

ცსკა: ბაუჟა, პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი, სემიგლაზოვი, მანოშინი, ბასალიკი, დოროდნიხი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, აპუხტინი (გრეკოვი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი: ე. ხრიამსი (ტალინი).

მატჩის წინ არმიელთა კოლექტივის აქციები ძალზე დაბალი იყო, რადგან მათ ამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე ბატჩი მეტად სუსტად ჩაატარეს. ფიქრობდნენ, რომ მაღალტექნიკური დინამოელები იოლად გაუსწორდებოდნენ არმიელებს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პროგნოზები. თუმცა იგი საფუძველს არ იყო მოკლებული.

შეხვედრის დასაწყისში თბილისელები ცდილობდნენ თამაშის მსვლელობა თავისთვის სასურველ კალაპოტში მოექციათ. პირველ ათ წუთში თითქოს მოახერხეს კიდეც ამის ნაწილობრივ გაკეთება, მაგრამ არმიელთა კარი ერთხელაც არ დაუყენებიათ რაიმე საფრთხის წინაშე. მასპინძლები ყველგან ასწრებდნენ. განსაკუთრებით ეფექტურად და დაუძაბავად თამაშობდა დაცვის ხაზი - პონომარიოვი, შესტერნევი, ბაგრიჩი.

დინამოელთა დაცვითი სისტემა მე-11 წუთზე მოიშალა. ფედოტოვმა ანგარიში გახსნა - 1:0. თბილისელთა თავდასხმამ ვერც ამის შემდეგ მოახერხა ნამდვილი, გაშლილი შეტევის ორგანიზება, რადგან განსაკუთრეუბლი მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდნენ მეტრეველი და მესხი, ხოლო პონომარიოვს ხშირად თბილისელთა კარის მისადგომებთანაც ვხედავდით. ამის ლოგიკური შედეგი იყო, რომ მარტივი კომბინაცია ერთი ფლანგიდან მეორეზე კარგად დაასრულა ბასალიკმა მე-19 წუთზე - 2:0.

მეორე ტაიმის პირველი წუთი თბილისელთა ახალი მარცხით აღინიშნა. სიჭინავამ ბურთი პოლიკარპოვს ჩაბარა, რომელმაც არ დააყოვნა და ანგარიში 3:0-მდე გაზარდა. მხოლოდ ამის შემდეგ ერთგვარად გამოფხიზლდნენ დინამოელები. მათ 49-ე და 54-ე წუთზე ორჯერ ჰქონდათ კარის აღების საშუალება, მაგრამ ჯერ ხურცილავამ ააცილა ძელს, ხოლო შემდეგ მეკარის პირისპირ დარჩენილმა მეტრეველმა.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა - 1:0.

ჯ. ენუქიძე, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

“ლელო”, 17 სექტემბერი, 1963 წ.